ხაშურის მოამბე

8 (89) 27 თებერვალი, ორშაბათი, 2017 წელი

„რამდენიც არის გადასახედი, თურმე იმდენი საქართველოა“.

ხაშურის ხედი ქვიშხეთის მთაწმინდიდან. არჩილ სუთიაშვილის ფოტო

ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსით 1700-ზე მეტი მოქალაქე სარგებლობს

ამ დღეებში, ადმინისტრაციულ სახლში, გაიმართა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს სხდომა. აღნიშნულ საბჭოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოამდგილე **ზურაბ ჩხიტუნიძე** ხელმძღვანელობს. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დღეისათვის რაიონში 33 სოფელი სარგებლობს მაღალმთიანი დასახლების სტატუსით. თავდაპირველად 1288 მოქალაქე ჩაითვალა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებად. თუმცა, დღეისათვის საბჭოს 14 სხდომა ჩატარდა და ეს რიცხვი კიდევ 420 კაცით გაიზარდა. საბჭო ყოველ სხდომაზე განიხილავს იმ მოქალაქეთა განცხადებებს და სწავლობს იმ დოკუმენტებს, რომლებიც ითხოვენ სტატუსის მინიჭებას. პარალელურად, რეგულარულად მიმდინარეობს მონიტორინგი და თუ მოქალაქე სამი თვის განმავლობაში არ იმყოფება მაღალმთიან დასახლებაში კონკრეტულ მისამართზე (რომელიც მას რეგისტრაციაში აქვს მითითებული), კანონის თანახმად, ეხსნება სტატუსი.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო რეგულარულად ატარებს სხდომებს და ჩვენ ნებისმიერ დროს მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი მოქალაქის განცხადება და პასუხებიც უმოკლეს ვადებში ვაცნობოთ, – აღნიშნა საუბრის ბოლოს ბატონმა ზურაბმა.

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე“

- პრაქტიკული რეკომენდაცია - მეთოდიკა ფერმერებისათვის -

ხორბლის კულტურის განოყიერების ახალი სისტემა

ხორბალი საქართველოს კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. საქართველოში არსებულმა პირველადმა სახეობებმა ახსნა ხორბლის გვარის ფილოგენეზი და დაამტკიცა, რომ ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით, ჩვენი ქვეყანა უნიკალურია მთელ მსოფლიოში.

გვინდა, შემოგთავაზოთ ხორბლის განოყიერების ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხორბლის მაღალხარისხიან და მყარი მოსავლის მიღებას, როგორც სარწყავ, ისე ურწყავ პირობებში. რეკომენდაციაში გამოყენებულია თანამედროვე ტიპის სასუქები, რომელთა შეძენა შესაძლებელია ქართულ ბაზარზე და დაშვებულია სახელმწიფოს მიერ.

განოყიერების ახალი სისტემის გამოყენების მეთოდიკის სქემა (ფერადობით) ასეთია: N115 P110+ნუტრივანტი (ფოთლიდან კვება) 1. 1,5 კგ; 2. 3,0კგ; 3. 3,0კგ.

ნიადაგის დამუშავების წინ თავისუფლდება ნაკვეთი ნარჩენებისგან, მოხვნის წინ შეგვაქვს ამოფოსი (ან ამოფოსკა) სუფთა წონაზე გადაანგარიშებით. N115 P110 კგ. შესაძლებელია სასუქის შეტანა თესვის დრო საც. თესვის შემდგომ ნათესი უნდა მოიტკეპნოს.

აღმოცენების შემდეგ, შემოდგომაზე, როდესაც ხორბალი იწყებს ბარტყობას, ვახდენთ აღმონაცენის ფესვგარეშე გამოკვებას 1,5 კგ-ჰექტარზე ნუტრივანტით (სასუქები, რომლებსაც კრისტალოს უწოდებენ). 1,5 კგ. სასუქი იხსნება 200-250 ლიტრ წყალში. ამ დროს ძლიერდება ბარტყობა და ფესვთა სისტემა, მატულობს ყინვაგამძლეობა.

ადრე გაზაფხულზე, როდესაც ნათესი იწყებს გამწვანებას, სასურველია, შევიტანოთ ამონიუმის გვარჯილა, ან შარდოვანა თხევადი სახით. სასუქის შედეგად ძლიერდება ნაზამთრალი აღმონაცენი და იწყებს სწრაფ ზრდას, რაც იწვევს ხორბლის დროულ განვითარებას.

აზოტიანი სასუქის შეტანიდან ორკვირიან ინტერვალს ვიყენებთ ნუტრივანტს 3კგ-ჰა-ს რაოდენობით.

(3 კგ. ნუტრივანტი 300 ლიტრ წყალში). ამ დროს ძლიერდება ბარტყობა, ხდება სწრაფი ზრდა, ჩქარდება დათავთავება.

ისევ ორკვირიანი ინტერვალით კვლავ შეგვაქვს 3კგ-ჰა ნუტრივანტი, ამ დროს მისი მოქმედება იწვევს ერთდროულ ბარტყობას, ნაბარტყის თანაბარ განვითარებას, რაც აძლიერებს ფოტოსინთეზის პროცესს და ხელს უწყობს მარცვლის ფორმირებას.



აღნიშნული მეთოდიკით განოყიერებული ხორბლის მოსავალი ეკონომიკურად მომგებიანია, მარცვალი ხარისხიანი და კონკურენტუნარიანია.

როინ კურტანიძე,

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მეფუტკრე კოოპერატივების მხარდაჭერა გრძელდება

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები შევიდა.

მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ კოოპერატივებს სკების, თაფლის საწურისა და თაფლის შესანახი ავზების გარდა, გადაეცემა ფიჭის ასათლელი დანა ელექტროგამაცხელებლით და ფიჭის ანათლის ავზით.

პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივებს ღირებულების 30%-ად გადაეცემათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა, არაუმეტეს 100 ცალი, 1 ერთეული 12 ჩარჩოიანი თაფლისსაწური (ციბრუტი), თაფლის შესანახი სხვადასხვა მოცულობის (40, 60 და 220 ლიტრიანი) ავზები, რომელთა ჯამური ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 2 200 ლიტრს და ფიჭის ასათლელი დანა ელექტროგამაცხელებლით და ფიჭის ანათლის ავზით.

იმ კოოპერატივს, რომელთა მეპაიეების 50%-ს შეადგენენ დევნილები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე, იმ კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეებს შეადგენენ მხოლოდ ქალები, კაპიტალური ინვესტირება გადაეცემათ ღირებულების 20% -ის ოდენობით.

პროგრამაში მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი მისთვის სასურველი აღჭურვილობა როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ მოწმდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში. მონაწილე ასევე იღებს ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის №714 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია თბილისში ჩაუსვლელად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე (http://www.acda.gov.ge) დისტანციურად შეეძლებათ.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კოოპერატივების სკების აღრიცხვა-რეგისტრაცია ხორციელდება სკაზე შესაბამისი ნიშნის (სააღრიცხვო ბარათის) დამაგრებით. აღრიცხვას ექვემდებარება როგორც მონაწილის საკუთრებაში არსებული, ისე კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში გადაცემული სკები, რაც ხელს უწყობს მიკვლევადობას და უზრუნველყოფს ხარისხიანი და უვნებელი თაფლის წარმოებას.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივი ვალდებულია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემულ სკებში განათავსოს ფუტკრის ოჯახები სკების მიღებიდან 2 წლის ვადაში

დღეის მდგომარეობით აღრიცხულია, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემული, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკუთრებაში არსებული 34615 სკა.

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 164 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 13 936 სკა, 28 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 28 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), ასევე, 27 კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 61 400 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები.

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გაუმჯობესება, მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა და წარმოებული თაფლის მიკვლევადობის უზრუნველყოფა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ახალი პერსპექტივები

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები შედის. მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, პროგრამას ემატება წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის კომპონენტი. სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა ახლა უკვე არა მხოლოდ მესაქონლეობის, არამედ მეცხვარეობის და მეთხეველობის დარგის კოოპერატივებსაც შეეძლებათ.

მეცხვარეობის მომთაბარე სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია კოოპერატივისათვის თანადაფინანსებით ღირებულების 30%-ად, მობილური ტიპის 24 ადგილიანი საწველი აღჭურვილობის გადაცემა, თუ კოპერატივს ან/და მის მეპაიე(ებ)ს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 2000 სული ცხვარი (ნერბი).

იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 200 სული თხა (ნეზვი), მას გადაეცემა 12 ადგილიანი საწველი და ყველის დამამზადებელი რძის საწარმოო აღჭურვილობა. საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება წარმოადგენს მონაწილის ვალდებულებას.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დისტანციურად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ -გვერდზე http://www.acda.gov.ge იქნება შესაძლებელი.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა გასულ წელს დაიწყო, რომლის ფარგლებში 2016 წლის განმავლობაში აშენდა და პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობით დაკომპლექტდა 9 საწარმო. მათ შორის 2 - სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში, 4 - სამცხე-ჯავახეთში, 2 ქვემო ქართლში და 1 - კახეთში.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მიიღეს სხვადასხვა სიმძლავრის რძისმიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით გადაეცა ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა. კოოპერატივები მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას ტრინინგების სახით.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კოოპერატივის ვალდებულებას წარმოადგენდა საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება, რომელშიც განთავსდა კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში გადაცემული დანადგარები.

პროგრამაში ჩართულობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ეძლევათ საშუალება სტანდარტების დაცვით მოახდინონ რძის მიღება. ერთის მხრივ ერთობლივად მიაწოდონ რძის საწარმოებს, მეორეს მხრივ კოოპერატივები სეძლევათ შესაძლებლობა მისი მეპაიეების წარმოებული რძე მიიღონ და აწარმოონ რძის პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის გაზრდით კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

ვისაც ამერიკულ უნივერსიტეტში განათლების მიღება სურს

23 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ამერიკის კუთხეში საერთაშორისო განათლების ცენტრის წარმომადგენელმა დალი ხომერიკმა სკოლის მოსწავლეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გამართა. განათლების ცენტრი ამერიკული პროგრამა „EDUCATIONAL EXCHANGE PROGRAMS IN GEORGIA“ წარმომადგენელია და მიზნად ისახავს აბიტურიენტებისთვის ხელშეწყობას, რათა მათ შეძლონ ამერიკულ უნივერსიტეტებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა.

დალი ხომერიკმა დეტალურად ისაუბრა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც აუცილებელი წინაპირობაა აშშ-ში განათლების მისაღებად. განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა კულტურულ განსხვავებულობის პატივისცემაზე და ეფექტური სამოტივაციო წერილების მომზადებაზე. ამერიკის კუთხის ხელმძღვანელმა ქეთი მეტრეველმა განაცხადა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხე მომავალ კვირაში გეგმავს, სამოტივაციო წერილების მომზადებასთან დაკავშირებით, ტრენინგის ჩატარებას.

შეხვედრის ბოლოს, განათლების ცენტრის წარმომადგენელმა წარმატება უსურვა ხაშურელ ბავშვებს და აღნიშნა, რომ აშშ-ში საქართველოდან სტუდენტების მობილობა/გაცვლები ბოლო 5 წლის განმავლობაში 36%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

მშენებარე ობიექტი, რომლის დასრულებას ყველა მოუთმენლად ველით

გასულ წელს განხორციელებულ პროექტებსა და მის დადებით მხარეებზე „ხაშურის მოამბემ” არაერთხელ უამბო ჩვენს მკითხველს. ეს გახლდათ პროექტები, რომლებმაც ერთიორად გააუმჯობესა ქალაქის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, გაალამაზა იერსახე და ვფიქრობთ, ჩვენი მოქალაქეებისათვის, ნამდვილად თვალსაჩინოა ის წინსვლა, რომელიც მთელმა რაიონმა იგრძნო, ესაა წინსვლა, რომელიც გრძელდება 2017 წელსაც. შეუფერხებლად გრძელდება იმ პროექტების ამუშავება, რომლებსაც გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი და რომლებიც, მიმდინარე წელს წარმატებით დასრულდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაც აქტიურად კურირებს ამ პროექტებს, რათა თითოეულმა ხაშურელმა იგრძნოს ის სიკეთეები, რომლებსაც ეს პროექტები სამომავლოდ გვპირდება.

ამჯერად, ახალი სასპორტო სკოლის მშენებლობის პროცესის მიმდინარეობაზე მოგაწვდით ინფორმაციას. მკითხველის განსაკუთრებული ინტერესი ამ საკითხის გარშემო, საკმაოდ მაღალია და ჩვენც, გარკვეული ინფორმაციის მოძიება არ დავიზარეთ. ინფორმაციისათვის კი, შპს „ლიტ-ჯეო ინვესტის“ დირექტორის მოადგილეს და სამუშაოების მწარმოებელს **დავით ლომიძეს** გავესაუბრეთ.

- ხაშურის სპორტკომპლექსის მშენებლობა დაიწყო გასული წლის მაისში. პროექტი, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება. ტენდერის საფუძველზე, კომპლექსის მშენებლობის უფლება გადაეცა შპს „ლიტ-ჯეო ინვესტს”. აღნიშნული მშენებლობა, ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპის დასრულება, ამ წლის აპრილისთვის იყო განსაზღვრული, თუმცა, ასეთი მკაცრი ზამთრის პირობებში, მოგეხსენებათ, უხვი ნალექი და ყინვებია, ჩვენ ვერ შევძელით სრული დატვირთვით მუშაობა. ამის გამო, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მივმართეთ წერილით, რომლის მიხედვითაც, მშენებლობის პირველი ეტაპის გადავადება ვითხოვეთ. ამჟამად, ველოდებით, დადებით პასუხს. თუმცა, აქვე დავამატებ, რომ პირველი ეტაპის გადავადება, არ იმოქმედებს მშენებლობის დასრულების საბოლოო ვადაზე. მშენებლობის დასრულებას კი, ამავე წლის ნოემბერში ვგეგმავთ. პირველი ეტაპი გულისხმობს შემდეგს: მთლიანად შენობის კარკასში მოქცევას, მეორე ეტაპი კი - მოპირკეთებას, კოსმეტიკურ სამუშაოებს, გათბობას და ვენტილაციას. მთლიანად მშენებლობის ბიუჯეტი 2 მილიონით განისაზღვრა. აღვნიშნავ ასევე ერთს, რომ სპორტკომპლექსის მშენებლობა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, დარბაზები 11 მეტრის სიმაღლისაა და ხარაჩოების გარეშე მშენებლები ვერ შეძლებენ მუშაობას. 23 მეტრიანი ხარაჩოები გაკეთდა, რომლის მარტო დაშლა და აწყობა მოითხოვს ძალზედ დიდ დროს. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, ყველანაირად ვცდილობთ ხარისხიანად შევასრულოთ დაკისრებული საქმე და ვადებიც დავიცვათ.

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის თუ რა განსაკუთრებულად ვეკიდებით ჩვენი მუნიციპალიტეტის სპოტსმენების მიღწევებს და როგორ აქტიურად და სიამაყით ვაშუქებთ მათ თითოეულ გამარჯვებას. საჭირო და დროული იყო, რომ ბოლომდე გაგვესიგრძეგანებინა ის აუცილებელი საჭიროებები, რომლებიც სპორტსმენებს გამარჯვებების მიღწევაში ეხმარებათ. თბილი, კომფორტული გარემო, დამეთანხმებით, ენთუზიაზმს გაუორმაგებს და გაუსამმაგებს, უფრო მეტი გამარჯვებებით და მედლებით გაგვახარებენ, რომლებითაც ასე ვამაყობთ.

თ.ახალკაცი

ადამიანები-ხიდები

2010 წლის მაისის თვე იყო, ლექციებიდან სახლში ვბრუნდებოდი, გაჩერებაზე (ი.ჭავჭავაძის პროსპექტი, ყოფილ მე-9 საავადმყოფოსთან) ავტობუსიდან რომ ჩამოვედი, იქვე, ახლოს, ხის ძირში, სკამზე ჩამოვჯექი. ზუსტად იმ ადგილას ავტოსადგომია, ჩემი ყურადღება იქ მომუშავე ე.წ. „სტაიანშჩიკმა" მიიქცია, ვაკვირდებოდი მის ყოველ მოძრაობას, თუ როგორი სიყვარულით ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორი თავაზიანობით, ყურადღებით და პატივისცემით ემსახურებოდა მძღოლებს, გზას ულოცავდა და მშვიდობიან მგზავრობას უსურვებდა მათ. როდესაც თავისუფალი დრო გამოუჩნდა, მოვიდა და ჩემს გვერდით სკამზე ჩამოჯდა, ერთმანეთს დაველაპარაკეთ და გავეცანით. მისმა ადამიანურმა თვისებებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ეს პიროვნება თბილისელი სომეხი აშოტ ბაღდასარიანი აღმოჩნდა.

მას შემდეგ ხშირად მიხდებოდა მისი ნახვა, რადგან ჩემი გაჩერება მის სამუშაო ადგილთან მდებარეობს, ამიტომ, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდი.

როდესაც რამდენიმე წელი (დაახლოებით 3 წელი) გავიდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, თუ როგორი კეთილშობილი, განათლებული და ალალმართალი პიროვნება იყო ბატონი აშოტი, ამასთანავე საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა. ერთხელ თავისი ოჯახის ისტორიის შესახებ მიამბო: „1915 წელს, როდესაც თურქებსა და სომხებს შორის დაპირისპირება დაიწყო და თურქებმა სომხებს გენოციდი მოუწყვეს, მაშინ პაპაჩემი თურმე გამოქცეულა, თბილისში ჩამოსულა და აქვე დასახლებულაო, მე 1956 წელს დავიბადე, ვცხოვრობდით და ბავშვობა გავატარე ე.წ. „პურის მოედანზე" (მდებარეობდა ძველ თბილისში, ახლანდელი ლესელიძის ქუჩის ახლოს, ახლაც ამ სახელით მოიხსენიება). მე მართალია, სომეხი ვარ მაგრამ საქართველოში დავიბადე, გავიზარდე, ოჯახი აქვე შევქმენი, ორი ვაჟკაცი აღვზარდე. თბილისი და საქართველო მიყვარს, სხვებივით გვარი არ გადამიკეთებია, არც არასოდეს გვიფიქრია გვარის გამოცვლაზეო, მშობლებმა ქართული ტრადიციებით გაგვზარდეს, მეც ასევე აღვზარდე ჩემი შვილები. „იტალიურ" ეზოში გავიზარდე, სადაც გვერდიგვერდ ვცხოვრობდით სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები (ქართველები, სომხები, ებრაელები, ქურთები, ბერძნები, რუსები, აზერბაიჯანელები და სხვები), ერთმანეთთან ძალიან კარგი დამოკიდებულება, გვქონდა, როგორც ძმები ისე ვიზრდებოდით. ლხინშიც და ჭირშიც ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ერთმანეთს ყოველთვის დახმარების ხელს ვუწვდიდით"...

ვუსმენდი მის საუბარს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდი თუ როგორი ტოლერანტული ქვეყანაა ჩვენი საქართველო.

ეროვნება არაფერ შუაში არ არის კარგ, კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასთან, მთავარია ადამიანობა, ადამიანის სულიერი სამყარო... ცუდი და კარგი ადამიანი ყოველ ერშია, მთავარია, შეგვეძლოს, კარგის და ცუდის ერთმანეთისაგან გარჩევა. და ისინი, რომლებიც (პიროვნება იქნება, პირთაჯგუფი თუ სახელმწიფო) ეროვნებათაშორის შუღლის და მტრობის გაღვივებას ცდილობენ, არიან მტრები ამ ეროვნებების, მათ საკუთარი მიზნები ამოძრავებთ, რათა ამ ბოროტი ქმედებით გარკვეული მოგება და გამორჩენა მიიღონ.

თავის საუბარში ეს კეთილი კაცისაქართველოს უახლოეს ისტორიასაც შეეხო და გაიხსენა აფხაზეთის ომი, ის გულისტკივილით ყვებოდა და გმობდა, რაც მაშინ სომხებმა, კერძოდ, „ბაგრამიანის ბატალიონმა" ჩაიდინა, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ ქართველებს. იხსენებდა და მის საუბარში იგრძნობოდა სინანული და გულისწყრომა ამ ამბის მიმართ. აღარასოდეს აღარ უნდა მოხდეს დაპირისპირებები და გაუგებრობები, რაც ჩვენს ორ ერს შორის ხდებოდა, მე ყველაფერს ვიღონებ, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, როცა სომხეთშიც მომიხდება ყოფნა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის დავთესო სიკეთე, სიყვარული და ის ადამიანური ფასეულობები წარმოვაჩინო, რომლებიც ხელს შეუწყობს და უფრო გააღრმავებს ქართველებსა და სომხებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, რომ ყველა საკითხი, რომელიც სადაო იქნება, კონსენსუსისა და ურთიერთპატივისცემის დამოკიდებულებით გადაიჭრას.

ჩვენ ხომ უძველესი ცივილიზაციის ორი ერი ვართ. ღმერთმა გვერდიგვერდ მოგვიჩინა ადგილსამყოფელი, ამას კი გაფრთხილება და მუდმივი „კვება" სჭირდება.

დარწმუნებული ვარ ისეთი ადამიანი, როგორიც ბატონი აშოტი ბრძანდება, არსებობენ როგორც აფხაზებში, ოსებში, აზერბაიჯანელებში, რუსებში, ისე ყველა ერში.

მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად ჩვენი სამეზობლო გვაინტერესებს, რადგან აღსადგენია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და როგორც არასდროს, დღეს ისე სჭირდება ჩვენს ქვეყანას სახალხო დიპლომატიის ამოქმედება. ჩემი აზრით, სწორედ სახალხო დიპლომატია შეასრულებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ჩვენთვის ესოდენ მეტად საჭირო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში.

მაგალითად, აფხაზებთან ურთიერთობის დარეგულირებაში, ვფიქრობ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბატონი ოთარ ბენიძე.

ბატონი ოთარი არის სოხუმში დაბადებული, აფხაზებთან ერთად გაზრდილი, იქ მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება, 1990 წელს აფხაზეთის იუსტიციის მინისტრად დანიშნეს როდესაც ომი დაიწყო, ბატონი ოთარი იძულებული იყო, თავის ოჯახთან ერთად თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად, აფხაზეთის მთავრობამაც თბილისში განაგრძო ფუნქციონირება. 1996 წელს, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაარსდა, ბატონი ოთარი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს, ამავდროულად მე-2- კოლეგიის თავმჯდომარეც იყო; მეც მე-2 კოლეგიაში ვმუშაობდი მოსამართლის თანაშემწედ, ათი წელი ერთად ვიმუშავეთ მე და ბატონმა ოთარმა, ის არის ყურადღებიანი, ერუდირებული, უკეთილშობილესი, სამართლიანი, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ისეთი, როგორიც უნდა იყოს უმაღლესი რანგის მოსამართლე.

მე ყოველთვის მომწონდა და მიზიდავდა მისი სულიერება, შინაგანი სამყარო, ღმერთისადმი სიყვარული სწორედ მისმა ასეთმა თვისებებმა დამამეგობრა მასთან, მეამაყება, რომ ვარ მისი მეგობარი.

ბატონ ოთარს მრავალი აფხაზი მეგობარი ჰყავს აფხაზეთში, ამიტომ მისი პოტენციალი და ურთიერთობები აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სახალხო დიპლომატიის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითი. მას ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

ბატონი ოთარი ხშირად ამბობს ხოლმე: „ჩემი ოცნებაა სოხუმში დაბრუნება, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მინდა, მოვინახულო და ხშირად მივიდე ჩემი შვილისა და წინაპრების საფლავებზე, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ აღდგეს ის ურთიერთობები, რაც იყო ჩვენსა და აფხაზებს შორის".

მართლაც ბევრის გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით ბატონ ოთარს.

არიან ადამიანები, რომლებსაც ანალოგიური საქმის გაკეთება შეუძლიათ ოს ხალხთან ურთიერთობების დალაგება-დარეგულირებაში.

ვფიქრობ, დადგა დრო იმისა, რომ ამოქმედდეს, სახალხო დიპლომატიის მექანიზმი და თამამი ნაბიჯები გადაიდგას ამ კუთხითაც.

სახალხო დიპლომატიის ამოქმედებისათვის აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა, მისი კეთილი ნება, გვჯერა, რომ ეს ასეც იქნება.

დადგა დრო, როდესაც ცუდი წარსული დავიწყებას უნდა მიეცეს და დაიწყოს საქართველოს გაერთიანება, რაშიც სახალხო დიპლომატია თავის აუცილებელ და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ერთიანი, ძლიერი, ერთ-ერთი ძველი ცივილიზაციის მქონე საქართველოს არსებობა არამარტო ქართველთა ინტერესებშია, არამედ, ასეთი საქართველოს არსებობა, ყველა ჩვენი მეზობლების ინტერესებში მოიაზრება, რომლის საფუძველსაც ჩვენი სამშობლოს გეო-პოლიტიკური მდგომარეობაც განაპირობებს.

ეს კი გარანტი იქნება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისა, რაც ჩვენს ირგვლივ არსებული ყველა ქვეყნის განვითარებას ხელს შეუწყობს.

ამირან კურტანიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი, პირველი კლასის
სახელმწიფო მრჩეველი,
სამართლის პროფესორი

ძია სოსო და ერთ ოჯახად გაერთიანებული 185 ადამიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯოესების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულია უმწეოთა უფასო კვების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-70 000 ქულის ფარგლებშია, ასევე, შრომისუუნარო და მარტოხელა პირები.

უმწეოთა უფასო კვების პროგრამის ფარგლებში 185 ბენეფიციარი ყოველდღიურად სამკომპონენტიანი უფასო სადილით იკვებება. პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 120 195 ლარით ფინანსდება.

უმწეოთა უფასო კვების 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს.

* * *

არსებობს თემები, რომელზეც წერა, განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს, იქმნი დამოკიდებულებას, ეძებ სიტყვებს, რადგან იმ ადამიანების ცხოვრებას ეხები, რომლებსაც ცხოვრების კანონზომიერების სულაც არ სჯერათ-რაღაცით გამოარჩია ცხოვრებამ, სხვისი კეთილი ნების მომლოდინენი გახადა. ზოგჯერ არასწორად გამოვხატავთ ემოციებს, სახელებსაც არასწორად ვურჩევთ მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, ჩვენი საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც წლების წინ, ჩვენი ქვეყნის მატერიალურ და სულიერ დოვლათს ქმნიდნენ, მათი რიცხვი, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ისე ცოტაა. როდესაც უმწეოთა უფასო კვების პროგრამას გავეცანი, გადავწვიტე, მენახა გარემო, სადაც ისინი ყოველდღიურად იღებენ ერთჯერად საკვებს. ჩვენ, ჟურნალისტებსჯშირად სუბიექტურობაში გვდებენ ბრალს, კამათს არ დავიწყებ. მინდა ერთ დიდ ოჯახზე მოგიყვეთ, სადაც სიყვარულის

- სამბო -

ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს

ამ დღეებში, ზესტაფონში, ჭიდაობა სამბოში, ახალგაზრდებს შორის, საქართველოს პირველობა გაიმართა. ჩვენი სასპორტო სკოლის გუნდი ღირსეულად წარსდგა ჩემპიონატში. განსაკუთრებით გვასახელა ლუკა მაისურაძემ (სურათზე), რომელიც გუნდის ნამდვილი ლიდერია. იგი მსოფლიო ჩეპიონის ტიტულის მფლობელია ახალგაზრდებში და თავი არც ამჯერად შეურცხვენია. ფინალამდე მან სამი მეტოქე ჩამოიცილა. ფინალში კი დამაჯერებლად – 4:0 მოუგო მეტოქეს და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.

ღირსეულად იჭიდავა ვახტანგ მეტივიშვილმა, რომელმაც 62 კგ. კატეგორიაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალი ირგუნა.

პარალელურად, მიმდინარეობდა ჩემპიონატი ჭაბუკებს შოროს, სადაც გიორგი ბედოშვილმა(52კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღნიშნულმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხაშურის საჭიდაო სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყნის მასშტაბით და გვჯერა, გამოცდილი მწვრთნელების ბუხუტი ბუხრიკიძისა და ბეგლარ ხარშილაძის აღსაზრდელები არც მომავალში შეირცხვენენ თავს.

საგალობლებით დაფასებული ღვაწლი

22 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა კონფერენცია თემაზე- „ექვთიმე კერესელიძე“. კონფერენციაში,

რომლის ორგანიზატორიც ნანა ჯოხაძე იყო, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის გოგონათა მგალობელი გუნდი მონაწილეობდა. გოგონებმა, ძველი ქართული საგალობლების გადარჩენის საქმეში, ღირსი ექვთიმე აღმსარებელის (ერისკაცობაში ევსტათე კერესელიძე) მიერ გაწეული ღვაწლის შესახებ ისაუბრეს და საგალობლებიც შეასრულეს.

დღევანდელი კონფერენცია თემატურად უკავშირდებოდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიმდინარე მოძრავ ფოტო-ექსპოზიცია „საგანძურს“, რომლის ფარგლებშიც ქართული ქრისტიანული ხელოვნების ფოტოასლებია წარმოდგენილი.

კონფერენციის დასასრულს, ნაჩვენები იყო ექვთიმე კერესელიძეზე შექმნილი დოკუმენტური ფილმი.

შშმ ბავშვებისათვის ადაპტირებული ატრაქციონები გაიხსნა

21 თებერვალს, ქალაქის ცენტრალურ პარკში, შშმ ბავშვებისათვის, ადაპტირებული ატრაქციონები გაიხსნა.

ორბელიანის ფონდის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშურის მაჟორიტარ დეპტატს და მის ბიუროს, ა(ა)იპ „სავანეს“ და შპს „ფოლადს“ პროექტის განხორციელებაში გაწეული თანადგომისათვის.

აღსანიშნავია, რომ შშმ ბავშვებისათვის ადაპტირებული ატრაქციონები დღემდე არა მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტში, არამედ შიდა ქართლის რეგიონშიც არ არსებობდა და ეს რეგიონული მასშტაბით პირველი პრეცენდენტია.

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გურასპაშვილი**, საკრებუოს თავჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი **სიმონ ნოძაზე**, მუნიციპალიტეტის და საზოგადოების წარმომადგენლები.

„კონსტიტუციური მონარქია და დიდი ბრიტანეთი“ - ლექცია-დისკუსია ხაშურის ბიბლიოთეკაში

ხაშური ახალგაზრდა და ნიჭიერი თაობით მუდამ იყო ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი საქართველოში. ხაშურელი მოსწავლეების დიდი ნაწილი ცდილობს იყოს მოქალაქეობრივად, შემოქმედებითად და საზოგადოებრივად აქტიური და ამაში მათ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა და ხაშურის ამერიკის კუთხეც ეხმარებათ. ამასთან ერთად, რამდენიმე წლის წინ მუნიციპალიტეტში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ხაშურის ახალგაზრდული თვითმმართველობა“, რომელიც ზრუნავს ახალგაზრდების კულტურულ, თუ სხვა სახის აქტივობებში ჩართვაზე. 2017 წლის 7 თებერვალს, ხაშურის ახალგაზრდული თვითმმართველობის წევრმა, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი ჩუბინიძემ, ხაშურელი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ხაშურის ბიბლიოთეკაში უკვე დიდი ხანია აქვთ „ლიტერატურული კლუბი“, ჩაატარა ლექცია-დისკუსია თემაზე: „კონსტირუციური მონარქია და დიდი ბრიტანეთი“. ღონისძიება მიეძღვნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მონარქის – დედოფალ ელისაბედ II-ის მმართველობის დასაწყისიდან 65-ე წლის, ლურჯი საფირონის იუბილეს. ღონისძიებას კლუბის წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კიკნაძე, ხაშურის ამერიკის კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი მავრა გელაშვილი. მონაწილეებმა იმსჯელეს კონსტიტუციური მონარქიის საკითხებზე, მიმოიხილეს ბრიტანელი და სხვა პოლიტიკოსების წვლილი მსოფლიო პოლიტიკაში, როგორიცაა მარგარეტ ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის ტანდემი, როგორ ესმოდათ მათ დღესაც აქტუალური და განხილვადი საკითხები, გენდერული თანასწორობისა და ა.შ.

გიორგი ჩუბინიძე: „ლექციის თემა აქტუალური და საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მსოფლიო დიდი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალყურს დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახს, მათ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აგრეთვე, საინტერესოა, მარგარეტ ტეტჩერის, როგორც ევროპაში პირველი ქალი პერემიერ-მინისტრის ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში, ვინაიდან, ის იყო XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, რომელიც, ერთგვარად, ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს მსოფლიოში, რაც ცხადია, ჩვენს ქვეყანაზეც (მაშინ სსრკ-ს შემადგენლობაში) ახდენდა გავლენას. აგრეთვე, საინტერესოა ის მსგავსება-განსხვავებები, რაც დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს აქვს. მადლობა ბიბლიოთეკას, რომ მომცა შესაძლებლობა ამ საინტერესო თემებზე მესაუბრა „ლიტერატურული კლუბის“ წევრ ნიჭიერ მოსწავლეებთან ერთად“.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.